ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №19

20 თებერვალი, 2023 წელი
12:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
კახაბერ ლაბუჩიძე, თინათინ ნიბლოშვილი, ზურაბ ჩიკვილაძე, ნათია მოდებაძე, ნინო კვიტაიშვილი და გიორგი შარაშიძე.

მოწვეული სტუმრები:
1. მაკა ნასრაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი: №12-03230451-03; 14.02.2023).

მომხსენებელი: ლევან მიქავა

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

2. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის" დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი: №12-032304146-03; 10.02.2023).

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული პირველი საკითხი.** კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს ლევან მიქავას, რომლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2023 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (137 794,2 ათასი ლარი) გამოყენების და მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, იზრდება არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები 5 000,0 ათასი ლარის ოდენობით; შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 142 794,2 ათასი ლარით და შეადგენს 1 774 926,8 ათას ლარს.

განათლებისა და კულტურის მიმართულებით არსებული საბიუჯეტო პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსებაში წარმოდგენილ ცვლილებებთან დაკავშირებით აღნიშნული სფეროების ხელშემწყობი პროგრამებისა და ქვეპროგრამების დასაფინანსებლად ასიგნები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე:

იზრდება:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 18 653,0 ათასი ლარი;
- პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) პროგრამის ასიგნებები – 350,0 ათასი ლარი;
- კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) – 500,0 ათასი ლარი.

მცირდება:

- მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა (კოდი 07 06 01) - 120,0 ათასი ლარი.

ამასთან, ბიუჯეტში ემატება ახალი პროგრამა: საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა (კოდი 08 10) – 500,0 ათასი ლარი.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვეს:
ნინო კვიტაიშვილმა და ზურაბ ჩიკვილაძემ.

ნინო კვიტაიშვილი დაინტერესდა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების განმაპირობებელი მიზეზებით. ლევან მიქავას განმარტებით, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული 137 794,2 ათასი ლარის ნაშთი წარმოადგენს გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობას, რომელთა ათვისებაც ვერ მოხდა. აუთვისებლობა ძირითადად ეხება კაპიტალურ ხარჯებს და მთავარი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანიები ვერ ასრულებენ დადგენილ ვადებში სამუშაოებს, გარდა ამისა ნაშთი განაპირობა

სხვა გარემოებებმაც, ვალუტის კურსიდან გამომდინარე მიღებულმა ეკონომიამ და შრომის ანაზღაურებიდან დარჩენილმა თანხებმა.

ზურაბ ჩიკვილაძემ განაცხადა, რომ ბაზარზე ძალიან არის გაზრდილი სამშენებლო პროდუქციის საფასური, რაც მშენებლობის პროცესის მონაწილე სუბიექტებს დაბრკოლებას უქმნის. ფასების მატება, თავის მხრივ, აისახება კომპანიებზე, რომლებიც კეთილსინდისიერად ვერ ასრულებენ სამშენებლო სამუშაოებს.

ნინო კვიტაიშვილი ასევე დაინტერესდა, თუ როდის იგეგმება დიღმის მულტიფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, რაზეც ირაკლი გვილავამ უპასუხა, რომ მშენებლობის განმახორციელებელ კომპანიასთან მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა და ყოველდღიური მონიტორინგი. სამშენებლო სამუშაოები 93%-ით არის შესრულებული და შენობა-ნაგებობის მშენებლობა სრულად დასრულდება 2023 წელს. თავის მხრივ, სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელ კომპანიას ვადაგადაცილებისთვის ეკისრება ჯარიმები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	4
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	2 (ნინო კვიტაიშვილი, გიორგი შარაშიძე)

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ერთხმად დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს საკითხს, არ აქვს შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული მეორე საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის” დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი: №12-032304146-03; 10.02.2023).

კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსს ირაკლი გვილავას, რომელმაც ისაუბრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის” სამომავლო საქმიანობის შესახებ. ირაკლი გვილავას განმარტებით, ფონდის მიზნებს და

ამოცანებს წარმოადგენს: თანამედროვე ხელოვნების და არტისტების პოპულარიზაციას, ეროვნული და მსოფლიო ხელოვნების ხელმისაწვდომობას საზოგადოების ყველა წარმომადგენლისთვის; გამოფენებისა და სხვადასხვა პროექტის განხორციელების მეშვეობით ქართველ ხელოვანთა მხარდაჭერას და მათი შემოქმედებით ზრდის წახალისებას; ღია კონკურსების მეშვეობით სახელოვნებო სფეროში სახელოვნებო და შემოქმედებითი პროცესების გააქტიურებას და ხელოვანების, მათ შორის ახალგაზრდა ხელოვანების ექსპერიმენტული, ინოვაციური, კრეატიული და მასშტაბური პროექტების განხორციელებას; სხვადასხვა სახის შეხვედრის, კონფერენციის, სიმპოზიუმ(ებ)ის, ჩვენების, ლექციის, ტურის, ვორქშოფის და მსგავსი ბუნების/ხასიათის ღონისძიების ჩატარების მეშვეობით სამოქალაქო საზოგადოებაში კულტურული, შემოქმედებითი შეგნების ამაღლებას და საზოგადოების წარმომადგენლების ჩართულობის ამაღლებას; წამყვან დასავლურ ინსტიტუციებთან თანამშრომლობის მეშვეობით თანამედროვე საერთაშორისო ხელოვნების პოპულარიზაციას საქართველოში, ხოლო ქართული ხელოვნების პოპულარიზაციას საზღვრებს გარეთ; საჯარო სივრცეში თანამედროვე ხელოვნების შექმნას და აღნიშნულის მეშვეობით ქალაქ თბილისის იერსახის გაკეთილშობილებას.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვეს:
კახაბერ ლაბუჩიძემ და ნინო კვიტაიშვილმა.

ნინო კვიტაიშვილმა განაცხადა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის" წესდებით გაწერილი მიზნები ემთხვევა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საქმიანობას, აქედან გამომდინარე, ფონდის დაფუძნება ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ იგი შესაძლოა იქცეს გარკვეული პირების დასაქმებისა და ხელშეწყობის წყაროდ. კომისიის წევრი აგრეთვე დაინტერესდა, თუ როგორ გაიმიჯნებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ფუნქციები ფონდის საქმიანობასთან ხელოვნების მიმართულებით. გარდა ამისა, ბუნდოვანია გასცდება, თუ არა „საჯარო ხელოვნების ფონდის" საქმიანობა თბილისის ფარგლებს, რაზეც ირაკლი გვილავამ განმარტა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტი ვერ დააფუძნებს ისეთ ორგანიზაციას, რომელიც შეიძლება თბილისს გარეთ საქმიანობდეს, რაც შეეხება ფონდის მიმართულებებს, ორგანიზაცია ამ ეტაპზე, საკრებულოს თანხმობის შემდეგ დაფუძნდება და უმჯობესია მისი საქმიანობა შეფასდეს გარკვეული პერიოდის შემდეგ, როცა აქტიურად დაიწყებს ფონდი ფუნქციონირებას. მაკა ნასრაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ „საჯარო ხელოვნების ფონდის" მიმართულებების გამიჯვნა მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურისგან, მოხდება დებულების საფუძველზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის" დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	5
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	1 (ნინო კვიტაიშვილი)

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ერთხმად დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს საკითხს, არ აქვს შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის" დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე

მოამზადა: ირაკლი შამათავა